პოლიტიკური დამოკიდებულებები და საგარეო ორიენტაცია ქვემო ქართლის მოსახლეობაში

2021

დოკუმენტი მომზადებულია ლიბერალური აკადემია თბილისისა და კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მიერ განხორციელებული კვლევის საფუძველზე, ნიდერლანდების სამეფოს მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში. დოკუმენტში მოყვანილ ინფორმაციასა და მოსაზრებებზე პასუხისმგებელია ლიბერალური აკადემია თბილისი, და ის შეიძლება არ ასახავდეს დონორის პოზიციას.

2020 წლის შემოდგომაზე, ყარაბაღის მეორე ომის დაწყებამდე მცირე ხნით ადრე, ორგანიზაციამ „ლიბერალური აკადემია თბილისი“ (LAT) დაიწყო ქვემო ქართლის ეთნიკურად ქართველ და ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოსახლეობაში იდენტობის, კონსერვატიული ღირებულებებისა და პოლიტიკური შეხედულებების შესწავლა კომპლექსური კვლევის მეშვეობით, რომელიც შეიცავს როგორც როდენობრივ კომპონენტს, ასევე თვისებრივ ნაწილსაც. პირველი კომპონენტი განახორციელდა ორგანიზაცია „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრთან“ (CRRC Georgia) პარტნიორობით.

ქვემო ქართლი აღნიშნული საკითხების შესასწავლად იმიტომ შეირჩა, რომ ის ერთ-ერთი ყველაზე მრავალფეროვანი რეგიონია ეთნიკური შემადგენლობის თვალსაზრისით. 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერით ქვემო ქართლში 423 986 ადამიანი ცხოვრობს.[1] მათი 51,3% ქართველია, 41,8% კი აზერბაიჯანელი.[2] შესაბამისად, მართლმადიდებელი ქრისტიანების ხვედრითი წილი 51,3%-ია, მუსლიმებისა კი 43,0%.[3] ამის გამო ეს რეგიონი ეთნიკურ ჯგუფებს შორის დამოკიდებულებების, პოლიტიკური შეხედულებების და საგარეო ორიენტაციის თვალსაზრისით ეთნიკური და რელიგიური კუთვნილების მნიშვნელობის შესწავლის საშუალებას იძლევა.

კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ ქვემო ქართლის მოსახლეობაში კონსერვატიული ღირებულებების, დემოკრატიის და საგარეო ორიენტაციის მიმართ დამოკიდებულებები, ასევე ის ასაკობრივი, სოციალური, გენდერული თუ სხვა სახის ფაქტორები, რაც ამ განწყობებზე გავლენას ახდენს. ანგარიშში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქართველი და აზერბაიჯანელი თემის მოსაზრებების და დამოკიდებულებების ერთმანეთთან შედარებას და რეგიონში არსებული სოციალურ-პოლიტიკური დინამიკის განხილვას როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისებრივ ჭრილში. წინამდებარე ანგარიშში რეგიონის მოსახლეობის პოლიტიკურ შეხედულებებსა და საგარეო პრიორიტეტებს განიხილავს.

---

[1] საქსტატი, *მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები* (2020).

[2] აქ და ქვემოთ „აზერბაიჯანელში“ და „ქართველში“, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, იგულისმება, შესაბამისად, საქართველოს მოქალაქე ეთნიკური აზერბაიჯანელი და ეთნიკურად ქართველი ადამიანი.

[3] რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, მოსახლეობის განაწილება მხარეებისა და რელიგიური კუთვნილების მიხედვით, 2021. იხ. აქ: https://religion.gov.ge/statmaps/#

მეთოდოლოგია

კვლევის მონაცემები შეგროვდა და გაანალიზდა რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდოლოგიის გამოყენებით. მოსახლეობის პირისპირ გამოკითხვა ჩატარდა ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე ქვემო ქართლში 972 ადამიანთან 2020 წლის 8-28 ოქტომბერს. აქედან 542 ეთნიკურად აზერბაიჯანელი, ხოლო 430 ქართველი იყო. მონაცემები ზოგადად ქვემო ქართლის და ასევე ქვემო ქართლში მცხოვრები ზრდასრული აზერბაიჯანელი და ქართველი მოსახლეობის წარმომადგენლობითია.

მიღებული შედეგების საფუძველზე ჩატარდა მონაცემთა სტატისტიკური და ანალიტიკური დამუშავება. რაოდენობრივი მონაცემების პარალელურად, შედგა ფოკუს-ჯგუფების სესიები და ჩაღრმავებული ინტერვიუები ადგილობრივ აქტივისტებთან და საზოგადოების განწყობაზე გავლენის მქონე სხვა პირებთან. სულ ჩატარდა 14 ფოკუს-ჯგუფის სესია ქვემო ქართლის მოსახლეობასთან, მათ შორის 8 ეთნიკურ აზერბაიჯანელებთან, 6 კი ქართველებთან. სესიები ჩატარდა მარნეულში, გარდაბანში, ბოლნისსა და დმანისში. თითოეულ მათგანში 8-იდან 10-ამდე ინდივიდი მონაწილეობდა. გარდა ამისა, ჩატარდა 17 ინტერვიუ ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან და ჟურნალისტებთან.

დამოკიდებულებები დემოკრატიის და პოლიტიკური პროცესების მიმართ

გამოკითხულთა დაახლოებით ნახევარი (49%) ეთანხმება მოსაზრებას, რომ დემოკრატია ყველა სხვა პოლიტიკურ წყობაზე უკეთესია. ქართველების და აზერბაიჯანელების მოსაზრებები ერთმანეთის მსგავსია და მხოლოდ მცირე ნაწილი ამბობს, რომ ზოგ შემთხვევაში არადემოკრატიული მთავრობა უფრო კარგია, ვიდრე დემოკრატიული (15%) ან რომ არ აქვს მნიშვნელობა, როგორი მთავრობა იქნება (17%). თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით აზერბაიჯანელები ქართველებთან შედარებით უფრო ხშირად ამბობენ, რომ არ იციან (24% და 8%). ასევე, საინტერესოა, რომ კვლავ მხოლოდ აზერბაიჯანელების შემთხვევაში ვხვდებით გენდერულ განსხვავებებს, კერძოდ, ქალები უფრო ხშირად (22%) ამბობენ, რომ მათთვის მნიშვნელობა არ აქვს როგორი მთავრობა იქნება, ვიდრე კაცები (7%).

მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის ნახევარი ექსპლიციტურად უჭერს მხარს დემოკრატიულ წყობას, მთავრობის, ძლიერი ლიდერის და რელიგიური ინსტიტუტების როლის შესახებ შეხედულებები ცხადყოფს, რომ ქვემო ქართლის მოსახლეობის პოლიტიკური დამოკიდებულებები ყოველთვის თანამიმდევრული არ არის. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი მოსახლეობა შუაზე იყოფა და ერთი ნაწილი (51%) ფიქრობს, რომ ადამიანები ბავშვებივით არიან და მთავრობამ ისე

უნდა იზრუნოს მათზე, როგორც მშობელი ზრუნავს შვილებზე, ხოლო მეორე ნაწილი (43%) ეთანხმება მოსაზრებას, რომ მთავრობა ხალხის მიერაა დაქირავებული და ადამიანები უნდა იქცეოდნენ, როგორც უფროსები და უნდა აკონტროლებდნენ მთავრობას. უცნაურია, მაგრამ პატერნალისტური განწყობა ხანდაზმულ ქართველებში (41%) უფრო ნაკლებია, ვიდრე ახალგაზრდებში (62%).

აზერბაიჯანელებში კი პატერნალისტური განწყობა ცალსახად დომინრიებს. მოსაზრებას, რომ მთავრობა მშობელივითაა, 79% ეთანხმება და მხოლოდ 16% ფიქრობს, რომ მთავრობა ხალხის მიერაა დაქირავებული. აქაც, ყველაზე მაღალი პატერნალიზმი 18-იდან 34 წლამდე ახალგაზრდებშია (87%).

ამავე საკითხებს ეხება კითხვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხალხთან კონსულტაციის და ძლიერი, თუმცა გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიმღები ლიდერის შესახებ. როგორც ქართველებში, ასევე აზერბაიჯანელ მოსახლეობაში უმეტესი ნაწილი ეთანხმება მოსაზრებას, რომ ქვეყნისთვის უკეთესი იქნება, თუ არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური ძალა ყველა გადაწყვეტილებას საზოგადოებასთან კონსულტაციის შედეგად მიიღებს (59% და 60%), თუმცა ქართველების 35% ეთანხმება მეორე მოსაზრებას, რომ ქვეყნისთვის უკეთესი იქნება, თუ ქვეყანას ეყოლება ძლიერი ლიდერი, რომელიც თავად მიიღებს საზოგადოებისთვის საჭირო გადაწყვეტილებებს, მაშინ როცა აზერბაიჯანელების მხოლოდ 21% იზიარებს ამავე მოსაზრებას. აზერბაიჯანელები, თავის მხრივ, უფრო ხშირად ამბობენ, რომ არ იციან, რომელს ანიჭებენ უპირატესობას.

მიუხედავად ძლიერ ლიდერთან დაკავშირებულ კითხვაზე პასუხისა, როგორც ვნახეთ, ქართველების ნახევარი და აზერბაიჯანელების ¾-ზე მეტი მთავრობას როგორც მშობელს, ისე აღიქვამს და შესაბამისად, უფრო პასიურ როლს იღებს საკუთარ თავზე. ასევე საინტერესოა, რომ, როგორც ქართველების, ასევე აზერბაიჯანელების შემთხვევაში, კაცებთან შედარებით ქალები მცირედით უფრო ხშირად ამბობენ, რომ გადაწყვეტილება საზოგადოებასთან კონსულტაციის შედეგად უნდა იქნას მიღებული. თუმცა ასაკობრივი თვალსაზრისით, ქართველების შემთხვევაში ხანდაზმულები უფრო იშვიათად უჭერენ საზოგადოებასთან კონსულტაციის იდეას (46%) მხარს, ვიდრე ახალგაზრდები (69%) და შუა ხნის ადამიანები (64%). აზერბაიჯანელების შემთხვევაში კი, ხანდაზმულები უფრო ხშირად უჭერენ საზოგადოებასთან კონსულტაციის იდეას მხარს (67%), ვიდრე ახალგაზრდები (56%) და შუა ხნის ადამიანები (56%).

ასევე საინტერესო განსხვავებებს ვხვდებით ქართველების და აზერბაიჯანელების მოსაზრებებში, როდესაც საქმე რელიგიური ინსტიტუტების პოლიტიკურ

პროცესებში მონაწილეობას ეხება. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ აზერბაიჯანელების დაახლოებით 30%-ს ამ საკითხთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული შეხედულება არ აქვს. თუმცა 43% ეთანხმება მოსაზრებას, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია არასდროს უნდა ჩაერიოს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში და 40% კი ფიქრობს, რომ არც სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს (სსმს) აქვს ამის უფლება. აზერბაიჯანელი მოსახლეობის დაახლოებით მეოთხედი კი როგორც ეკლესიის, ასევე სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს შემთხვევაში ფიქრობს, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას პოლიტიკოსები უნდა ითვალისწინებდნენ მათ პოზიციას.

ქართველების 50% ამბობს, რომ ეკლესია არასდროს უნდა ჩაერიოს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში, ხოლო 39% ამბობს, რომ პოლიტიკოსები უნდა ითვალისწინებდნენ ეკლესიის პოზიციას. სსმს-ის შემთხვევაში კი, ქართველები უფრო ხშირად ამბობენ, რომ ის არასდროს უნდა ჩაერიოს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში და უფრო იშვიათად, რომ მუსლიმთა სამმართველოს პოზიციის გათვალისწინება უნდა მოხდეს (იხ. დიაგრამა 3.1). საინტერესოა, რომ მხოლოდ სსმს-თან დაკავშირებით ქართველი ახალგაზრდები უფრო ხშირად (73%) ამბობენ, რომ ისინი პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში არასდროს უნდა ერეოდნენ, ვიდრე შუახნის ადამიანები (58%) და ხანდაზმულები (52%).

ნდობა ინსტიტუტების მიმართ

ნდობის დონის მიხედვით სხვადასხვა ინსტიტუტები თითქმის ერთი და იგივე თანმიმდევრობით გვხვდება ქართველ და აზერბაიჯანელ მოსახლეობაშიც, ისინი ყველაზე მეტად საქართველოს ჯარს და რელიგიური აღმსარებლობის ინსტიტუტებს ენდობიან და ყველაზე ნაკლებად კი პრეზიდენტს, პარლამენტს და სასამართლოს, ასევე ისეთ ორგანიზაციებს, როგორიცაა „ქართული მარში“, რომლის შესახებაც მოსახლეობის ნახევარს ფაქტიურად არ სმენია (იხ. დიაგრამა 1).

<u>დიაგრამა 1</u>

რამდენად ენდობით ან არ ენდობით ...? *ვენდობი*[4](%)

[4] წარმოდგენილია მხოლოდ „სრულიად ვენდობი“ და „ძირითადად ვენდობი“ სავარაუდო პასუხების ჯამი.



მიუხედავად ზემოთ თქმულისა, მაინც ვხვდებით რამდენიმე საინტერესო განსხვავებას კერძოდ, ქართველები უფრო ხშირად ამბობენ, რომ ენდობიან საქართველოს ჯარს და რელიგიური აღმსარებლობის ინსტიტუტებს, ვიდრე აზერბაიჯანელები. გარდა ამისა, აზერბაიჯანელების შემთხვევაში პრეზიდენტს მოსახლეობის იმდენივე წილი ენდობა, რამდენიც სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებს, მაშინ, როცა ქართველების შემთხვევაში პრეზიდენტს ერთ-ერთი ყველაზე დაბალი ნდობის მაჩვენებელი აქვს. ასევე, აღსანიშნავია, რომ ჯარის, რელიგიური ინსტიტუტის და პრემიერ-მინისტრის გარდა, ყველა სხვა ინსტიტუტის/ჯგუფის შემთხვევაში, აზერბაიჯანელი მოსახლეობის მინიმუმ 10%-ით მეტი გამოხატავს ნდობას, ვიდრე ქართველები. ფოკუს ჯგუფებზე ეს ძირითადად აიხსნა უმცირესობების მიერ ხელისუფლებისა და, შესაბამისად, სახელმწიფოსადმი ლოიალობის გამოხატვისა თუ დამტკიცების სურვილით. ისინი ხშირად ტოლობის ნიშანს სვამენ ხელისუფლებასა და სახელმწიფოს შორის.[5]

ეს კანონზომიერება ისეთ ორგანიზაციებზეც კი ვრცელდება, როგორიცაა „ქართული მარში“, რაც შესაძლოა მიუთითებდეს, რომ რეალურად აზერბაიჯანელი მოსახლეობის მიერ უფრო ხშირად დაფიქსირებული ნდობა სხვადასხვა ინსტიტუტების მიმართ, გააზრებული პასუხი არ არის, რეალურად ემოციური ნიადაგი არ აქვს და მხოლოდ დეკლარაციული ხასიათისაა. ასე რომ არ იყოს, ქვემო ქართლის აზერბაიჯანელი მოსახლეობის 37% არ იტყოდა, რომ სრულად ან

[5] ფოკუს-ჯგუფები. ეთნიკურად აზერბაიჯანელი მამაკაცები (24.06.2021 და 01.08.2021) და ქალები (25.06.2021, 12.07.2021 და 13.07.2021).

ძირითადად ენდობა ორგანიზაციას, რომელიც ნაციონალისტურ შეხედულებებს ხშირად გამოხატავს და ხშირად მათი სამიზნე ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებია, მათ შორის აზერბაიჯანელები[6].

ანტი-ისტებლიშმენტური განწყობის გასაზომად, რაც, ნატივიზმთან და ავტორიტარულ ლიდერზე მოთხოვნილებასთან ერთად, პოპულიზმის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია, რესპონდენტებს შევთავაზეთ ორი დებულება. პირველი ასე იყო ფორმულირებული: „ეთანხმებით თუ არა მოსზრებას, რომ მთავრობას, ძირითადად, რამდენიმე დიდი კერძო ჯგუფი მართავს, რომელიც მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე ზრუნავს?“ ამ დებულებას ეთანხმება ქართველების 54% და აზერბაიჯანელების მხოლოდ 24%. მეორე დებულებას კი, „ხელისუფლების წარმომადგენლები საკუთარ ძალაუფლებას მოსახლეობის ცხოვრების გასაუმჯობესებლად იყენებენ?“ არ ეთანხმება ქართველების 53% და აზერბაიჯანელების 41%, რაც აშკარად მიუთითებს, რომ ანტი-ისტებლიშმენტური განწყობები ქართველებში გაცილებით უფრო მაღალია.

საგარეო პოლიტიკური ორიენტაციები

საგარეო ორიენტაციებთან დაკავშირებული მოსაზრებების განხილვა გვაძლევს საშუალებას დავინახოთ, თუ როგორია გამოკითხული მოსახლეობის მოსაზრებები საქართველოს გეოპოლიტიკურ მდგომარეობაზე და რა კავშირია ეთნიკურ იდენტობას, კონსერვატიულ ღირებულებებს და საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციებს შორის. ამ საკითხების შესასწავლად, კვლევის ფარგლებში დავსვით კითხვები ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის, რუსეთთან ურთიერთობის და საქართველოს მტერი და მეგობარი ქვეყნების შესახებ.

გამოკითხული ქართველების უმეტესი ნაწილი (53%) ეთანხმება მოსაზრებას, რომ საქართველო მეტ სარგებელს მიიღებს ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციით (ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებით) და მხოლოდ 22% ფიქრობს, რომ სარგებელი მეტი იქნება, თუ რუსეთთან უკეთესი ურთიერთობის ჩამოყალიბების სანაცვლოდ უარს იტყვის დასავლეთთან ინტეგრაციაზე. გამოკითხული აზერბაიჯანელების შეხედულებები კი დაახლოებით თანაბრად იყოფა - 37% ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციაში ხედავს უფრო მეტ სარგებელს, 34% რუსეთთან უკეთეს ურთიერთობას ამჯობინებს, 24% კი ამბობს, რომ არ იცის. ამასთან, ორივე ჯგუფში ახალგაზრდა და შუა ხნის ადამიანებს ხანდაზმულებზე

[6] radiotavisupleba.ge, *ულტრანაციონალისტური „ქართული მარში" აზერბაიჯანს ემუქრება და ულტიმატუმს უყენებს* (2020).

უფრო მეტად იხრებიან ევრო-ატლანტიკური ვექტორისკენ. გარდა ამისა, მხოლოდ აზერბაიჯანელების შემთხვევაში ვხდებით გენდერულ განსხვავებებსაც. ქალები უფრო მეტად იხრებიან ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისკენ, ხოლო კაცები რუსეთთან უკეთეს ურთიერთობას ანიჭებენ უპირატესობას.

საინტერესო შედეგი მოგვცა ამ კითხვაზე რეაგირების შესახებ მონაცემთა სტატისტიკურმა ანალიზმა შიიტურ-სუნიტური კონფესიური სხვაობის ჭრილში. როგორც აღმოჩნდა, მოსაზრებას, რომ დასავლეთთან ინტეგრაციაში მეტი სარგებელია, უფრო სუნიტები ეთანხმებიან (48%), ვიდრე შიიტები (32%). ამავე დროს, რუსეთიდან მეტ სარგებელს უფრო შიიტები მოელიან (34%), ვიდრე სუნიტები (29%). ანუ, შიიტების უმრავლესობა მცირედი სხვაობით უფრო მეტ სარგებელს რუსეთიდან ელის, სუნიტებისა კი პირიქით, რუსეთიდან. თუმცა რუსეთის მიმართ პოზიტიური მოლოდინი ამ უკნასკნელ ჯგუფშიც საკმაოდ მაღალია.

საინტერესო შედეგი მივიღეთ, როცა რესპონდენტებს დავუსვით კითხვა მათი ტრადიციებისთვის რუსეთიდან, ევროკავშირიდან და თურქეთიდან მომავალი საფრთხის აღქმის შესახებ. ევროკავშირში ასეთ საფრთხეს ქართველების დაახლოებით მესამედი (31%) და აზერბაიჯანელების მხოლოდ მცირე ნაწილი (13%) ხედავს. რუსეთიდან კი აზერბაიჯანელების 21% და ქართველების 27%. ხაზგასასმელია, რომ გამოკითხული ქართველები უფრო დიდ საფრთხეს საკუთარი ტრადიციებისთვის ევროკავშირში მეტად ხედავენ, ვიდრე რუსეთში, მაშინ როცა აზერბაიჯანელებთან პირიქითაა. როგორც მოსალოდნელი იყო, თურქეთიდან ეს უკანასკნელი ჯგუფი საკუთარი ტრადიციებისთვის საფრთხეს არ ხედავს, ქართველებში კი ეს აღქმა ყველაზე გამწვავებულია - 39%-ს ეს საფრთხე რეალურად მიაჩნია (იხ. დიაგრამა 2). აღსანიშნავია, რომ მხოლოდ აზერბაიჯანელების შემთხვევაში, კაცებთან შედარებით, ქალები უფრო ხშირად ეთანხმებიან რომ რუსეთი საფრთხეს უქმნის ტრადიციებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტრადიციებისთვის საფრთხესთან დაკავშირებულ კითხვებზე აზერბაიჯანელ მოსახლეობაში „არ ვიცი“ პასუხის პროცენტული მაჩვენებელი, განსაკუთრებით რუსეთისა და ევროკავშირის კონტექსტში, საკმაოდ მაღალია.

<u>დიაგრამა 2</u>

რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით, რომ რუსეთი/ევროკავშირი/თურქეთი საფრთხეს უქმნის თქვენს ტრადიციებს? (%)



გარდა ამისა, საყურადღებოა, რომ მონაცემთა სტატისტიკურმა დამუშავებამ მნიშვნელოვანი განსხვავება მოგვცა სუნიტურ-შიიტური დიქოტომიის კონტექსტში. როგორც აღმოჩნდა, ორჯეტ მეტია იმ ადამიანების ხვედრითი წილი სუნიტებში (18%), რომლებიც მიიჩნევენ, რომ მათ ტრადიციებს ევროკავშირი უფრო მეტ საფრთხეს უქმნის, ვიდრე შიიტებში (9%). ამასთან, ამ უკანასკნელ ჯგუფში ბევრად უფრო მეტი პასუხობს, რომ არ იცის (42%), ვიდრე სუნიტებში (29%).

მაშინ, როცა თურქეთთან დაკავშირებით საფრთხეს ორივე ჯგუფი თანაბრად არ ხედავს (74% ორივეგან), კითხვაზე, უქმნის თუ არა თქვენ ტრადიციებს საფრთხეს რუსეთი, სუნიტების 32% დადებითად პასუხობს, მაშინ როცა იგივეს შიიტების მხოლოდ 12% ამბობს.

ასევე მაღალია აზერბაიჯანელების წილი (64%), რომელიც მიუთითებს, რომ არ იცის რამდენად იქნება ეთნიკური უმცირესობების ინტერესები დაცული საქართველოში, თუ ის ნატოში გაწევრიანდება, მაშინ, როცა ამავე კითხვაზე პასუხის გაცემა ქართველების მხოლოდ 22%-ს უჭირს. ქართველების 72% ფიქრობს, რომ ნატოში გაწევრიანების შემთხვევაში ეთნიკური უმცირესობების ინტერესები ნაწილობრივ ან სრულად დაცული იქნება, ხოლო აზერბაიჯანელი მოსახლეობიდან მხოლოდ 26% ამბობს იგივეს.

სტატისტიკურმა ანალიზმა აქაც მნიშვნელოვანი სხვაობა მოგვცა კონფესიურ ჭრილში. კერძოდ, იმას, რომ ნატოში გაწევრიანების შემთხვევაში ეთნიკური

უმცირესობების ინტერესი დაცული იქნება ეთანხმება სუნიტების 44% და შიიტების მხოლოდ 18%. მაშინ როცა შიიტების 69% და სუნიტების 51% აცხადებს, რომ არ იცის.

<u>დიაგრამა 3</u>

ზოგადად, თქვენი აზრით, საბჭოთა კავშირის დაშლა საქართველოსთვის კარგი მოვლენა იყო თუ ცუდი? (%)



ნიშანდობლივი შედეგი მოგვცა კითხვამ „საბჭოთა კავშირის დაშლა საქართველოსთვის კარგი მოვლენა იყო თუ ცუდი?“ აქ ორი სამიზნე ჯგუფის პასუხები დიდწილად დიამეტრულად განსხვავებულია. მაშინ როცა ქართველების დიდი ნაწილი (48%) ფიქრობს, რომ ეს კარგი მოვლენა იყო, ხოლო დაახლოებით მესამედი (36%) აფასებს ამას ცუდ მოვლენად, აზერბაიჯანელებში, პირიქით, ნახევარზე მეტი (52%) ცუდ მოვლენად მიიჩნევს და მხოლოდ დაახლოებით მეოთხედი (27%) თვლის კარგ მოვლენად (იხ. დიაგრამა 3). როგორც მონაცემთა შემდგომმა ანალიზმა აჩვენა, ამ კითხვაზე ასაკის ფაქტორი გადამწყვეტ გავლენას ახდენს. მაგალითად, სსრკ-ის დაშლას ახალგაზრდა ქართველების (18-34 წწ.) 71% დადებითად აფასებს, უფროსი ასაკის ქართველების (55+ წ.) 62% კი უარყოფითად. მსგავსი, თუმცა ნაკლებად გამოკვეთილი ტენდენცია აზერბაიჯანელებშიც შეინიშნება: ახალგაზრდების მხოლოდ 30%-ისთვისაა საბჭოთა კავშირის დაშლა დადებითი მოვლენა, 31%-ისთვის უარყოფითია, 36%-მა კი არ იცის. ასაკის გარდა, სხვა არცერთი ფაქტორი, სქესის, დასახლების ტიპის, განათლების, ქართული და რუსული ენების ცოდნის, რელიგიური აღმსარებლობის, ეკონომიკური მდგომარეობის და კონსერვატიული ღირებულებების ჩათვლით მნიშვნელოვანი არ არის.

ამავე დროს, აზერბაიჯანელების უმეტესი ნაწილი მიუთითებს, რომ ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებები საქართველოში დაცულია და მხოლოდ

მესამედი ფიქრობს, რომ მათი უფლებები საბჭოთა კავშირში უფრო იყო დაცული, ვიდრე ახლა. ეს შედეგი, ერთი შეხედვით, წინააღმდეგობაშია წინა კითხვის შედეგებთან და ინტერპრეტირებას მოითხოვს. როდესაც ამ წინააღმდეგობაზე ფოკუს ჯგუფების სესიების აზერბაიჯანელ მონაწილეებს ვუთითებდით, ისინი ამ ფაქტს პრაგმატული მოსაზრებებით ხსნიდნენ, ამბობდნენ, რომ სსრკ-ის მიმართ მათი ეთნიკური ჯგუფის დიდ ნაწილში გავრცელებული ერთგვარ პიეტეტს უფრო ეკონომიკური ფაქტორები განაპირობებს, ვიდრე ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებთან დაკავშირებული საკითხები.

მიუხედავად საბჭოთა კავშირის დაშლასთან დაკავშირებულ შეხედულებებში განსხვავებისა, ქართველების (49%) და აზერბაიჯანელების (40%) აზრით, საქართველოს მთავარი მტერი რუსეთია, თუმცა ამ ორი ჯგუფის შეხედულებები მნიშვნელოვნად განსხვავდება, როდესაც საქმე მთავარ მეგობარს ეხება. აზერბაიჯანელების 70%-ის აზრით, საქართველოს მთავარი მეგობარი აზერბაიჯანია. ამ აზრს ქართველების მხოლოდ 5% იზიარებს. ხოლო ქართველების 34%-ის აზრით, საქართველოს მთავარი მეგობარი ამერიკაა და აზერბაიჯანელების მხოლოდ 9% ამბობს იგივეს. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ აზერბაიჯანელებთან შედარებით, ქართველები უფრო ხშირად ამბობენ, რომ ყველა ქვეყანა საქართველოს მტერია, ან რომ საქართველოს მეგობარი არ ჰყავს. საქართველოს მთავარი მტრის და მეგობრის აღქმა კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ აზერბაიჯანელი მოსახლეობის შეხედულებები საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით უფრო მათ ეთნიკურობასთან არის დაკავშირებული.

სხვა ქვეყნის ომში წასვლის სურვილი

სახელმწიფოსთან იდენტიფიკაციის ხარისხზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის კითხვა იმის თაობაზე, უნდა ჰქონდეთ თუ არა ადამიანებს საქართველოს ფარგლებს გარეთ საომარ მოქმედებებში სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად ჩართვის უფლება. ომი, ისევე, როგორც ნებისმიერი სახის დაპირისპირება მნიშვნელოვანად არის იდენტობის გრძნობასთან დაკავშირებული[7] და ასეთ სიტუაციაში ადამიანის პოზიცია, მისი იდენტობის შინაარსზე მიუთითებს.

აქ ეთნიკურ ჯგუფებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა. მაშინ როცა ამ კითხვაზე დადებითად ქართველების 6% პასუხობს, აზერბაიჯანელებში ეს მაჩვენებელი 25%-

[7]Northrup, Terrell. *"The Dynamic of Identity in Personal and Social Conflict."* Essayin Intractable Conflicts and Their Transformation, 55–82. Syracuse, NY, New York: Syracuse Univ. Press, 1989.

მდე ადის. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ამ უფლებას ქალები უფრო ხშირად აღიარებენ, ვიდრე მამაკაცები.

როგორც ვხედავთ, აზერბაიჯანელი მოსახლეობა უფრო ნაკლებად გრძნობს სახელმწიფოს მხრიდან შეზღუდვის ან ნორმის საჭიროებას. საქართველოსთან, როგორც სახელმწიფოსთან ქართველებთან შედარებით ნაკლებ იდენტიფიცირებაზე მიუთითებს აზერბაიჯანელი მოსახლეობის პასუხი 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ კითხვაზეც. ქართველების სამი მეოთხედი (74%) აღნიშნავს, რომ 2008 წლის ომი იყო დაპირისპირება საქართველოსა და რუსეთს შორის და არა ქართველებს და ოსებს ან რუსეთსა და აშშ-ს შორის. იმავეს აზერბაიჯანელების 52% ეთანხმება, ხოლო ერთი მესამედი ამბობს, რომ არ იცის (36%) ჩამოთვლილთაგან რომელი იყო. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ქართველებში ვხვდებით ასაკობრივ განსხვავებას ამ კითხვაზე პასუხში, ახალგაზრდები, 54 წლის ზემოთ ადამიანებზე უფრო ხშირად ამბობენ, რომ ეს იყო ომი რუსეთსა და საქართველოს შორის, ხოლო უფროსი ადამიანები უფრო ხშირად ამბობენ, რომ არ იციან, რომელი იყო.

დასკვნა

ქვემო ქართლის მოსახლეობის საგარეო ორიენტაციების განხილვამ გვაჩვენა, რომ რიგ შემთხვევაში, აზერბაიჯანელი და ქართველი მოსახლეობა მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანელებიც, ქართველების მსგავსად, საქართველოს ყველაზე დიდ მტრად რუსეთს ხედავენ, მათი უმეტესი ნაწილი ფიქრობს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა ცუდი მოვლენა იყო, მესამედი კი ამბობს, რომ საქართველო მეტ სარგებელს მიიღებს, თუ უარს იტყვის ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციაზე რუსეთთან უკეთესი ურთიერთობის სანაცვლოდ.

ქართველები უფრო ხშირად ამბობენ, რომ ენდობიან საქართველოს ჯარს და რელიგიური აღმსარებლობის ინსტიტუტებს, ვიდრე აზერბაიჯანელები. გარდა ამისა, აზერბაიჯანელების შემთხვევაში პრეზიდენტს მოსახლეობის იმდენივე წილი ენდობა, რამდენიც სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებს, მაშინ, როცა ქართველების შემთხვევაში პრეზიდენტს ერთ-ერთი ყველაზე დაბალი ნდობის მაჩვენებელი აქვს. ასევე, აღსანიშნავია, რომ ჯარის, რელიგიური ინსტიტუტის და პრემიერ-მინისტრის გარდა, ყველა სხვა ინსტიტუტის/ჯგუფის შემთხვევაში, აზერბაიჯანელი მოსახლეობის მინიმუმ 10%-ით მეტი გამოხატავს ნდობას, ვიდრე ქართველები.

ხაზგასასმელია ტენდენცია, რომ საგარეო პრიორიტეტებსა და პოლიტიკასთან დაკავშირებულ კითხვებზე, სხვა კითხვებთან შედარებით, უფრო დიდია

აზერბაიჯანელების წილი, რომელიც ამბობს, რომ არ იცის კითხვაზე პასუხი. აზერბაიჯანელებში ამ საკითხებზე შეხედულებების „დეფიციტი“ არ უნდა იყოს დაკავშირებული სახელმწიფო ენის არცოდნასთან ან ინფორმაციის ნაკლებობასთან, რადგან ეს ზოგადი თემებია და კონკრეტული ფაქტების ცოდნას, როგორც წესი, არ მოითხოვს. თუმცა ეს შეიძლება მიანიშნებდეს აზერბაიჯანელ მოსახლეობაში პოლიტიკური სოციალიზაციის ან ზოგადად პოლიტიკური დინამიკის მიმართ ინტერესის ნაკლებობაზე.